



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიატომიტი

დიატომიტი, ი ზ ე ლ გ უ რ ი, ი ნ ფ უ ზ რ ი უ ლ ი მ ი წ ა, თეთრი, ღია ნაცრისფერი, მოყვითალო ან მომწვანო, ცარცისმაგვარი, ფორმვანი მსუბუქი დანალექი ქანი.

უმთავრესად შედგება ოპალისაგან ($\text{SiO}_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$), შეიცავს აგრეთვე კვარცის, გლაუკონიტის და თიხის მინარევებს. წარმოიქმნება ზღვებსა და ტბებში დალექილი დიატომებიანი შლამისაგან.

დ-ს ახასიათებს დიდი ფორიანობა (50-90%), SiO_2 - ის მაღალი შემცველობა (60-95%), მცირე სიმკვრივე (350-950 კგ /მ³), დაბალი ბგერაგამტარობა.

იყენებენ ადსორბენტად და ფილტრად (კვებისა და ნავთობქიმ. მრეწველობაში), შემცველი და საფეიქრო, ქაღალდისა და რეზინის წარმოებაში), აბრაზიულ და საშენ მასალად. რეკომენდებულია დ-ის გამოყენება სასუქების წარმოებაში.

საქართველოში სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს ქისათიბის დიატომიტის საბადოს.

გ. მაჩაბელი